ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი:**31-31210831**
თარიღი: **24/03/2021**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 22 მარტს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №4– 4(ოთხი) ფურცელი

დასკვნა №4–1 (ერთი) ფურცელი

სარეგისტრაციო-1(ერთი)ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №4

ქ. ლანჩხუთი

22.03.2021.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ციცინო ჩხაიძე, ზურაბ კუკულავა, დავით ჩხარტიშვილი და ამირან გიგინეიშვილი.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**, ლანჩხუთის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) **ელენე იმნაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

4. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ

მერიის ჯანდაცვის და სოციალურ სამსახურში შეიქმნა ბავშვის უფლებების დაცვის განყოფილება, რომელიც საჭიროებს შრომითი ხელშეკრულებით თანამშრომლის აყვანას, რომლის შესახებაც სრულ განმარტებას გააკეთებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელენე იმნაძე.

ელენე იმნაძემ განმარტა, რომ კოვიდ პანდემიის გამო მედიცინის მუშაკების გადატვირთული მუშაობის გრაფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია ჯანდაცვის სპეციალისტი მუდმივად იქნეს დასაქმებული პროფესიულ საჯარო მოხელედ. საჭიროა გაიზარდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში, დამხმარე (არამუდმივი) ამოცანების შესრულების მიზნით არსებული, შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება ერთი ერთეულით,(რომელშიც იგულისხმება სპეციალისტი სამედიცინო განათლებით სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურში). „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნების 5%-ს, მაგრამ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგენილი შეზღუდვიდან შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება მუნიციპალიტეტის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

დეპუტატმა **ამირან გიგინეიშვილმა** გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარს არ უჭერს, ვინაიდან ექიმის ხელშეკრულებით აყვანა არ არის მუნიციპალიტეტის მხრიდან სწორი გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** დააყენა წინადადება, რომ 26 მარტის საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყოს სრულყოფილი დოკუმენტაცია, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი აღნიშნული სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-1(ამირან გიგინეიშვილი).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით: **-26 მარტის საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნას სრულყოფილი დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი აღნიშნული სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები.**

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 26 თებერვლის N274

განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 321798 ლარი, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყვავილნარის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დასაფინანსებლად აღნიშნულ პროექტებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 16937 ლარი, სულ პროექტების ღირებულება 338735 ლარს შეადგენს. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით მომსახურების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი 57420 ლარი და 22 თეთრი უნდა მიიმართოს 2021 წელში მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯების დასაფინანსებლად, ამასთან საქართველოს 2021 წლის 04 თებერვლის N147 განკარგულებით მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების დასაფინანსებლად გამოიყო 15885 ლარი, აღნიშნული განკარგულებით გამოყოფილი თანხები ღონისძიებების შესაბამისად უნდა აისახოს ბიუჯეტში. ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების წინადადების განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა შრომის ანაზღაურების მუხლის 3202 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 3202 ლარით. ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის მომართვის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შემცირდეს 4100 ლარით, შრომის ანაზღაურების მუხლი 5900 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 8500 ლარი და არაფინანსური აქტივების მუხლი 1500 ლარით. როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტს დაემატა რამდენიმე ცვლილება, რომელიც ოფიციალურად იქნება წარმოდგენილი საკრებულოს სხდომაზე. კერძოდ: საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 11 მარტის N330 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო 204642 ლარი ლესის, ჯურუყვეთის, ნინოშვილისა და ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიის სალიკვიდაციოდ. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N168 განკარგულების სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსებისათვის-748000 ლარი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას დამატებით გამოეყოს-5200 ლარი. საფეხბურთო კლუბ გურიას დავალიანების დაფარვის მიზნით გამოეყოს 37200 ლარი. ამბულატორიების გაზის ქსელში ჩართვის მიზნით დამატებით გამოეყოს 2100 ლარი(მრიცხველის). გარე განათების და ულ. მრიცხველის ქსელში ჩართვის მიზნით გამოეყოს 4000 ლარი. გრიგოლეთის განაშენიანების გეგმის შემუშავების გრანტით დაფინანსება განისაზღვროს 75000 ლარით. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის გრანტით დაფინანსება განისაზღვროს 7064 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა,** რომ წარმოდგენილ საკითხში რამდენიმე ა(ა)იპი ითხოვს დაფინანსების გაზრდას და დასვა შეკითხვა იმის თაობაზე თუ საიდან მოხდებოდა ფინანსური უზრუნველყოფა, რაზეც როლანდ ლაშხიამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ აუქციონის წესით გაიყიდა აცანის ყოფილი ჩაის ფაბრიკისა და მამათის ყოფილი უნივერმაღის შენობა-ნაგებობები, რომლის ხარჯზეც მოხდება დაფინანსების გაზრდა.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ თებერვლის თვეში ბიუჯეტში რაიმე სახის პრობლემები არ ფიქსირდება.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის თებერვლის თვის შემოსულობებმა 855864,83 ლარი შეადგინა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 207412,48 ლარი, რაც წლიური გეგმის 7,8%-ია; მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 34185,48 ლარი. ქონების გადასახდის შემოსავლები წლიურ გეგმასთან მიმართებაში შესრულებულია 2,2%-ით და საწარმოთა ქონების გადასახადი-89,57ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი-16314,94 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 47,9% შეადგინა: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი-2584,69 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 0,7% შეადგინა; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 150978,42 ლარი, გეგმის 17,4%. მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 2999,31 ლარი; ადმინისტრაციული მოსაკრებლის შემოსავალი-503 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 142180,64 ლარი-წლიური პროგნოზის 19,6%. განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 2196418 ლარი. თებერვლის თვის მდგომარეობით შტატით დასაქმებულ მუშაკებზე გაიცა 802658 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 563685 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურება- 100058 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 716402 ლარი.

წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოსმენილი და გაზიარებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხვადასხვა

-დეპუტატმა **ციცინო ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ქალაქის სასაფლაოს ტერიტორიაზე აუცილებელია გაკეთდეს საპირფარეშო, რისთვისაც ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია მზადაა საპირფარეშოს ასაშენებლად კუთვნილი ფართის გარკვეული ნაწილი დაუთმოს მუნიციპალიტეტს. დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია და აუცილებლობას წარმოადგენს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი

22.03.2021 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №4

2021 წლის 22 მარტს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით:

-26 მარტის საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნას სრულყოფილი დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი აღნიშნული სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოსმენილი და გაზიარებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.03.2020 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 50	
2	ციცინო ჩხაიძე	11 50	
3	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდა	
4	დავით ჩხარტიშვილი	11 55	
5	ამირან გიგინეიშვილი	11 50	
6	იოსებ ჩხაიძე	არ ესწრებოდა	
7	აკაკი იმნაიშვილი	არ ესწრებოდა	
8	ზურაბ კუკულავა	11 55	